ოქმი N12

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 8 ივლისი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ლევან ქავთარაძე
8. ვასილ კუკავა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. თენგიზ აბაკელია
11. როსტევან გვარამია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მ. ლაგვილავას 2016 წლის 17 ივნისის N41/11 განცხადების განხილვა (ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების“ შემადგენლობაში ცვლილების შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კ. კაკულიას 2016 წლის 17 ივნისის N304 განცხადების განხილვა (სამანდატო - საპროცედურო საკითხთა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიებში გაწევრიანების შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლ. ცატავას 2016 წლის 6 ივლისის N47/08 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური დაკერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" და „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 6 ივლისის N04/1573 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის (ნ. შუშანია) შვებულებაში ყოფნის გამო, დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ და მეორე საკითხებს ბიუროზე წარმოადგენდა, ამავე კომისიის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე თენგიზ აბაკელია.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების" თავმჯდომარის მ. ლაგვილავას 2016 წლის 17 ივნისის N41/11 განცხადების განხილვა (ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" შემადგენლობაში ცვლილების შესახებ)

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი);

მოისმინეს: **თ. აბაკელია** - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-რესპუბლიკელების" თავმჯდომარის განცხადება , მასზე თანდართულ ფრაქციის სხდომის ოქმთან ერთად და განაცხადა, რომ პირადი განცხადების საფუძველზე ფრაქციაში გაწევრიანდა შუალედური არჩევნების შედეგებით ყულევის თემში არჩეული საკრებულოს ახალი წევრი კობა კაკულია.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კ. კაკულიას 2016 წლის 17 ივნისის N304 განცხადების განხილვა (სამანდატო - საპროცედურო საკითხთა და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიებში გაწევრიანების შესახებ)

(მომხსენებელი: თ. აბაკელია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი);

მოისმინეს: თ. აბაკელია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის განცხადება კ. კაკულიას განცხადება საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიებში გაწევრიანების შესახებ და სამანდატო-საპროცედურო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი კობა კაკულია საკრებულოში შემოვიდა განცხადებით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიებში გაწევრიანების შესახებ, რომლის თანახმადაც კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (ოქმს თან ერთვის). გამომსვლელის განცხადებით, პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, **წინააღმდეგი – არც ერთი**

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის ლ. ცატავას 2016 წლის 6 ივლისის N47/08 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური დაკერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის განცხადება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური დაკერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 სექტემბრის N69 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ და „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული

ცვლილების შესაბამისად მიმდინარე წლის 1 აგვისტოსთვის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში უნდა შეიქმნას მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია და შესაბამისად უნდა გაუქმდეს საკრებულოსთან არსებული ზემო ხსენებული კომისია. კომისიის საქმიანობის განხორციელებისთვის ყოველთვიურად გამოყოფილი იყო საწვავის ლიმიტი 80 ლიტრის ოდენობით, კომისიის გაუქმების შემდეგ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ცვლილება იქნეს შეტანილი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულებაში და ამოღებულ იქნეს მიწის კომისიისთვის გათვალისწინებული საწვავის ლიმიტი. გამომსვლელის განცხადებით, განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფიზიკური დაკერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარეს როსტევან გვარამიას და კომისიის თითოეულ წევრს უანგაროდ გაწეული მუშაობისთვის და წარმატებები უსურვა მათ შემდგომ საქმიანობაში. იქვე მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2016 წლის 6 ივლისის N04/1573 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 229,7 ათასი ლარით მცირდება შემოსავლები „გრანტები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლიდან „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“. 1525,3 ათასი ლარით იზრდება შემოსავლები მუხლიდან „გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)“. და მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 1255,5 ათასი ლარი ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებებზე. აქედან: 1250,0 ათასი ლარი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებებზე, 5,5 ათასი ლარი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნებებზე. 30,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებებზე. 27,1 ათასი ლარი ქვეპროგრამის „დასუფთავების ღონისძიებები“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სუფსიდიები“ ასიგნებებზე. პრიორიტეტის „განათლება“ ასიგნებებზე მიიმართება 76,6 ათასი ლარი. პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე 109,5 ათასი ლარი. პრიორიტეტის „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე კი მიიმართება 26,6 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსავლების გეგმა გაიზარდა 848,3 ათასი ლარით და შეადგინა 12374,7 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა